

## DRI იწყებს ევროკომისიის 12 პუნქტიანი გეგმის შესრულების შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმირებას

2022 წლის 23 ივნისს ევროპულმა საბჭომ ევროკომისიის 17 ივნისის გადაწყვეტილება დაამტკიცა, რომლითაც საქართველოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად 12 პუნქტიანი გეგმის შესრულება დაევალა. ევროპული საბჭოს ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნის მიუხედავად, პრიორიტეტების შესრულების პროცესში უზრუნველყოფილიყო ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო სექტორის ჩართულობა, „ქართულმა ოცნებამ“ ევროკავშირის მიერ დადგენილი 12 პუნქტის შესრულების გეგმა ოპოზიციური პარტიების ჩართულობის გარეშე შეიმუშავა. მმართველმა პარტიამ არ გაიზიარა არც საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ წარდგენილი რეკომენდაციები და პროცესის განხორციელებას მხოლოდ თავისი გეგმით შეუდგა.

DRI წარმოადგენს, ერთი მხრივ, რამდენად სრულდება თავად მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ წარმოდგენილი 12 პუნქტიანი გეგმა და, მეორე მხრივ, რამდენად პასუხობს ხელისუფლების მხრიდან გატარებული ღონისძიებები ევროკავშირის რეკომენდაციებს.

### ევროკომისიის რეკომენდაცია 2.1.

#### „სახელმწიფო უწყებების დამოუკიდებლად ფუნქციონირება, მათზე ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელება“

##### *ევროკომისიის რეკომენდაცია*

*უზრუნველყოს ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის სრულყოფილი მუშაობა, გააძლიეროს მათი დამოუკიდებლობა და ეფექტიანი ანგარიშვალდებულება, ასევე მათი დემოკრატიული ზედამხედველობის ფუნქციები;<sup>1</sup>*

##### „ქართული ოცნების“ გეგმა

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტთან შეიქმნება სამუშაო ჯგუფი ყველა საპარლამენტო პარტიისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელიც უზრუნველყოფს საპარლამენტო ზედამხედველობის სფეროში პარლამენტის რეგლამენტის აღსრულების ყოვლისმომცველ შეფასებას და მოამზადებს საკანონმდებლო ინიციატივას გამოვლენილი ხარვეზების

<sup>1</sup> ec.europa.eu (ვებგვერდი), Opinion on the EU membership application by Georgia. ხელმისაწვდომია: [https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda\\_22\\_3800](https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800), 17.06.2022

გამოსასწორებლად. შესაბამისი კანონპროექტი საქართველოს პარლამენტს ინიციატივის წესით წარედგინება არა უგვიანეს 21 სექტემბრისა და მიიღება არა უგვიანეს 1 ნოემბრისა.<sup>2</sup>

## ევროკომისიის შეფასების დოკუმენტი

ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს განაცხადზე მომზადებული ევროკომისიის შეფასების დოკუმენტი განმარტავს და შინაარსს სძენს ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის მიცემული თორმეტივე პრიორიტეტის შინაარსს. მეორე რეკომენდაციის პირველ ნაწილთან დაკავშირებით ევროკომისიის შეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოს პარლამენტში სათანადოდ არ ფუნქციონირებს კონტროლისა და ანგარიშვალდებულების ყველა საპარლამენტო პროცედურა, რაც, ძირითადად, გამოწვეულია ორ პოლიტიკურ პარტიას შორის არსებული მწვავე დაპირისპირებით. შესაბამისად, დოკუმენტი უთითებს, რომ „მეტია გასაკეთებელი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საპარლამენტო ზედამხედველობის და კონტროლის გასაძლიერებლად და პარლამენტის მიერ საკანონმდებლო პროცესის გულდასმით შესამოწმებლად“.<sup>3</sup> გარდა ამისა, დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს სამართალდამცავი ორგანოების ეფექტიანი ზედამხედველობის აუცილებლობაზე.<sup>4</sup> შესაბამისად, ევროკომისიის ეს რეკომენდაცია ძირითადად საქართველოს პარლამენტს მიემართება.<sup>5</sup> აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ „ქართული ოცნების“ გეგმა პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტთან სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, ევროკომისიის რეკომენდაციის შესრულებისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო.

## „ქართული ოცნების“ გეგმის შესაბამისობა ევროკომისიის რეკომენდაციასთან

საგულისხმოა, რომ პარლამენტში ევროკომისიის რეკომენდაციების შესასრულებლად შექმნილი თითქმის ყველა სხვა სამუშაო ჯგუფებისგან განსხვავებით, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტთან შექმნილი სამუშაო ჯგუფში უზრუნველყოფილი იყო პროცესის ინკლუზიურობა. კერძოდ, აღნიშნულ ჯგუფში მუშაობის და რეკომენდაციების წარდგენის შესაძლებლობა მიეცა თითქმის ყველა მსურველ საზოგადოებრივ და საერთაშორისო ორგანიზაციას. დასაინათ, რომ

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო წესების კომიტეტთან შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა გაიზიარა საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების რამდენიმე მოსაზრება, მათ შორის, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის რეკომენდაციები: პარლამენტის წევრის მიერ გაგზავნილ შეკითხვაზე პასუხის გაცემისთვის გამოყოფილი დროის 15-დან 10 დღემდე შემცირებასთან, თანამდებობის პირების მიერ საპარლამენტო მოსმენაზე სავალდებულო გამოუცხადებლობის შემთხვევაში საპროცედურო საკითხთა კომიტეტის მიერ ამ საკითხის შესწავლისა და რეაგირების მექანიზმების შემუშავებასთან, სახელმწიფო

<sup>2</sup> civil.ge (ვებგვერდი), ქართულმა ოცნებამ ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების გეგმა წარადგინა. ხელმისაწვდომია: [https://civil.ge/ka/archives/499106\\_01.07.2022](https://civil.ge/ka/archives/499106_01.07.2022)

<sup>3</sup> Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union, COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN COUNCIL AND THE COUNCIL, Brussels, 17.6.2022. გვ.5

<sup>4</sup> იქვე, გვ. 6

<sup>5</sup> ec.europa.eu (ვებგვერდი), Opinion on the EU membership application by Georgia. ხელმისაწვდომია: [https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda\\_22\\_3800](https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800), 17.06.2022

უსაფრთხოების სამსახურის მიერ ყოველწლიური ანგარიშის პარლამენტის წინაშე პირადად წარდგენასთან დაკავშირებით.<sup>6</sup>

თუმცა, განსხვავებით სხვა რეკომენდაციებისგან, სამუშაო ჯგუფმა არ განიხილა ის შეთავაზებები, რომლებიც უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის გაძლიერებას ეხებოდა, იმ მოტივით, რომ ამ საკითხებზე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში შექმნილი სამუშაო ჯგუფი იმუშავებდა. თუმცა, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში შექმნილ სამუშაო ჯგუფს სამართალდამცავ სტრუქტურებზე ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით მუშაობა არ გაუწევია.

შესაბამისად, მიუხედავად დადებითი ცვლილებებისა, საპარლამენტო ზედამხედველობის მიმართულებით კვლავ დარჩა არაერთი ხარვეზი, რომელთა გამოსწორების გარეშე რთული იქნება გაუმჯობესებულ საპარლამენტო ზედამხედველობაზე საუბარი. მაგალითად: რეალურად უფუნქციო ნდობის ჯგუფის გაუქმება და მისი მანდატის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტისთვის გადაცემა, ანგარიშვალდებული უწყებების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების პარლამენტის მიერ დეტალური განხილვა და უწყების მიმართ შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა და მათი შესრულების მონიტორინგი.<sup>7</sup>

### მმართველი პარტიის მიერ საკუთარი გეგმის შესრულება

საპარლამენტო ზედამხედველობის საკითხთან დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფი 2 აგვისტოს შეიქმნა.<sup>8</sup> ჯგუფმა, საერთო ჯამში, 4 შეხვედრა გამართა.<sup>9</sup> საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა ძირითადად დაიცვა „ქართული ოცნების“ გეგმით გაწერილი კანონპროექტების შემუშავებისა და მიღებისთვის განსაზღვრული ვადები: სამუშაო ჯგუფმა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ კანონის პროექტი პარლამენტს 19 სექტემბერს წარუდგინა.<sup>10</sup> პარლამენტმა ცვლილებათა პროექტი მესამე მოსმენით 2 ნოემბერს, გეგმით გათვალისწინებულზე 1 დღით გვიან მიიღო.

<sup>6</sup> parliament.ge (ვებგვერდი), საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/legislation/24684>, 20.09.2022

<sup>7</sup> democracyresearch.org (ვებგვერდი), დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის რეკომენდაციები უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერებასთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3FVVZbg>, 18.10.2022

<sup>8</sup> parliament.ge (ვებგვერდი), საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტში საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გაძლიერებასთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/news/saprotseduro-sakitkhta-da-tsesebis-komitetshi-saparlamento-kontrolis-mekanzimebis-gadzlierebastan-dakavshirebuli-samushao-igufi-sheikmna>, 02.08.2022

<sup>9</sup> საქართველოს პარლამენტიდან მიღებული პასუხი, 10168/2-7/22, 28.10.2022

<sup>10</sup> parliament.ge (ვებგვერდი), საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების პროექტი დააინიცირა, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/news/saprotseduro-sakitkhta-da-tsesebis-komitetshi-parlamentis-reglamentshi-tsvlilebis-proekti-daainitsira>, 19.09.2022